

ქვები

დრეპი

832

1976

" NOTRE DRAPEAU "

დაასხვაზულია ნომ უორდანის 8096.

№ 85

შინაგანი:

თებერვალში დაგვიძეყეს!

ცეცხლის კერანი

პ. სარჯველაძე.

შავი თებერვალი

ლ. ფალავა.

რუსიფიკაცია

ა. ბალრიძე.

თურქეთი - შავი ზღვა

მინდია ლაშაური.

კომუნისტური მორალი

ამირანი.

სასოფლო მეურნეობის სიკორე

პლატონ ლეუავა.

ადამიანთა უფასო დაცვის კომიტეტი საქ-ში ი. გავაშელი.

„ფილმისმეტყველება“

ნ. შარია.

ნეკროლოგები, ქრონიკა, ფონდი და სხვა.

თებერვალი და გვიაზრებები

თებერვალი ქართველი ერისათვის გლოვის თვეა.

ამ თებერვალი შემოესია რუსეთი თავის ჯარებით საქართველოს დამოკრატიული რესპულიკას. დაიპყრეს სახელმწიფო თვეით ლენინის მიერ ცნობილი, კანონიერად, სამართლიანად გამოყოფილი საჭითა რუსეთიდან. დაიპყრეს იმავე ლენინის ლოცვა-კურთხევით დაადვეს მას რეინის უღელი დიქტატორული რეჟიმისა...

და აი ეს გლოვის დღე გამოცხადებულია ეროვნულ დღესასწაულად, ეროვნული ჩაგვრა — — თავისუფლებად. დამონების და ტანჯვის მოგონება სადღესასწაულოს სადარბაზო დღეობად. ფიზიკური ტანჯვეთ შეურაცხყოფას სულიერი ტანჯვა მიუმატეს. რუსეთმა ძალადობით თავზე მოახვია ერს ისეთი სოციალური წყობილება და აზროვნობა, რაც არ ევუძა არც მის წარსულს, არც მის აწმყოს; არც მის ბუნებას, მარამ გვაქვს სრული, უტყუარი საბუთი, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ათეული წლების განმავლობაში წარმოებულმა, გააფთორებულმა პროპაგანდამ ვერ ჩაუნერგა ქართველ ხალხს გულში ლენინის დოგმები, ვერ შეათვისა უცხო სოციალურ დოქტრინას, ის დარჩა ერთგული საკუთარი თავის, საკუთარი ნაციონალური კულტურის, ზნე-ჩვეულების და ადათების, რაც შედეგია ერის გამძლეობის და მისი ახალთაობათა პატრიოტული თავდადებისა, დაბაბულ შრომისა, ბრძოლისა და რაც უმთავრესია საწინდარია, მომავალში ეროვნულ თავისუფლების აღდგენის, ერის სუვერენობის დაბრუნების...

ლენინის ძეგლები ყოველ კუთხეში შეუძლიათ დადგან, ათოლე კალმისანიც საქართვისა მის საქებრად და სადიდებლად, რაც კიდევაც სრულდება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ხალხი შეურიგდა არსებულ ვითარებას და სამუდამოდ თავი მოიხარა.

რამდენი შავ-ბნელი ეპოქა არ ახსოეს ქართველ ხალხს, რამდენჯერ უცხო ურდოებს არ გადაულევია მისი მიწაწყალი. მაგრამ იგი ვერასდროს დაუმონავებია, მისი სულიერი მისწრაფება თავისუფლების მოსაპოვებლად ვერ შეუჩერებია...

კომუნისტებს შეუძლიათ იამაყონ ამ ძველი ისტორიული ერის დათრგუნველი. შეუძლიან მათ იმხიარულონ.

ჩვენ მოუწოდებთ მათ ახალთაობებს ჩაუფიქტნენ იმ უსაშინელეს ბარბაროსიას, რომელიც მათმა წინაპრებმა ჩაიღინეს და რომლის მსგავსი არცერთ ევროპიელ იმპერიალისტურ სახელმწიფოს არ ჩაუდენია, ოდნავ მაინც ცივილიზაციურ ერის მიმართ. კომუნიზმი, ეს ახალი დესპოტიური იმპერიალიზმი თავშეუკავებელია, გაგრძელებაა რესული იმპერიალიზმისა ახალი სახით კომუნისტური მისტიკიზმით და მსოფლიო ბატონობის წყურვილით შეზავებული...

არცერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოს არასდროს, დაპყრობა განთავისუფლებად არ გამოუტადებია. ეს შეეძლო მხოლოდ მოსკოველ კომუნიზმს, რომელიც აზიურ სიველურეში დაიბადა და ალიზარდა ასეთი უმსგავსი თავხედობა გამოეჩინა.

ვაი ისტორიკოსები წარა-მარა იმეორებენ: თებერვალში მოხდა ქართველი ხალხის განთავისუფლება მენ-შევიური მთავრობის ბატონობისგანო, მაგრამ ეს „მენ-შევიური მთავრობა“, ანუ უკეთ, საქართველოს კანონიერი მთავრობა, ხომ ხალხის მიერ იყო, ხალხის ნებით, თავისუფლად არჩეული, იგი ხომ ამ ხალხის სურვილს და ნებისყოფას გამოხატავდა, და მას ემორჩილებოდა. თუ თუ ის ვერ გაამართლებდა ხალხის იმედებს, ხალხს ყოველთვის შეეძლო მისი გამოცვლა, — ამისათვის განა საჭირო იყო მოსკოვის ჯარების შემოსევა, ეროვნული თავისუფლების აღკვეთა, ერის სუვერენობის მოსპობა?

მათ გამოაქვთ სატრაბახოთ, ენაზე კლიტედადებულ ერის წინაშე. რომ ჩვენში სუბტროპიკული მცენარეები გაშენეს, ხალხს ფაბრიკები და ქარხნები ააგებინეს, წილისეული სიმდიდრენი საქართველოს მიწაშეყლისა გამოაღბინეს, მარგანეცი, ქვანაბშირი. ბარიტი და ათასი სხვა მაღანეული დაამუშავებინეს, მაგრამ არ ამხელენ, რომ მთელი ეს სიმდიდრე მოსკოვს მიაქვს, საბჭოთა კავშირის სალაროს ამდიდრებს, მის სამხედრო და იმპერიალისტურ ავანტურების ხარჯების დასაფარვად ითანცება. ქართველ ხალხს მხოლოდ მძიმე შრომის ატანა და ბატონის

სუფრიდან გადმოცენილი ნამცეცებით დაქმაყოფილება აქვს ხედრად მიჩნეული საბჭოთა კომუნისტური დიქტატურისაგან... მაგრამ ქართველი ხალხი არც ისე ბრძაა, რომ ამას ერ ხედავდეს, იგი უსირცვილო შეერმეტყველურ-მატყუარობის ანკესზე არ წამოეგება, მან იცის ყველა ეს სიძიდიდრე და შრომა მისი ბედნიერების და კეთილდღეობის წყარო იქნებოდა, საბჭოთა რესეტის გაუმაძღარი იმპერიალისტური მართველები რომ არ დაპატ-რონებოდნენ. მის ავლა-დიდებას.

აი ეს რომ არ მომხდარიყო; ქართველი ერი დარჩენილიყო თავის ბატონ-პატრონი. — ამის დაცვას შეწირნენ თებერვლის თვეში, მრავალი მამულიშვილნი, რომელთა გახსენებაზე ჩვენი თვალებიდან ცრემლები ცვივა, მაგრამ ეს არ არის ცრემლი მოთქმის, ან გამოტირების, საქართველო დასატირებელი არ არის; ჩვენ მათ ბედს კა არ დატორით, არამედ სამაყოდ ვახსენიებთ მთელი ქვეყნის წიშე. მათ საუკუნო სახელს მოიპოვეს ქართველი ერის ისტორიაში. ჩვენ ცრემლები გვდის თვალთაგან, მაგრამ გულში ციცქლის აღმური გვეკიდება, და ეს ცრემლი მღულარედ ქცეული, იმ თავდადებულ გმირთა მაგალითის წაბაძვას გვიკარნახებს... .

ბრძოლა არ შეგვიწყვეტია, იგი გრძელდება და არ შეწყდება სანამ ქართველი ხალხი არ მოიპოვებს თავისით-ლებას, სანამ არ გახდება სრული გამგე და პატრონი თავის ბედისა და მომავლის.

— — —

ცეცხლის პერიოდი

მოხდა უკანასკნელი ომის დაზავება, მაგრამ მას არ მოჰყოლია მევიღრი ზავი, მშეიღობიანობა.

ლოკალური ომები, თუ მოსალოდნელი შეტაკებანი: არის ეს ახლო აღმოსავლეთში თუ, აზია-აფრიკის ქვეყნებში, ქმითა საომარ დაბულობას, ახალი ომის პირობებს და კაცობრიობას აყენებენ უდიდესი საფრთხის წი-

ნაშე. ვერსალის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო მეორე
 ომის წარმოშობის მიზეზებს...

იალტამ გასაქნი და საშუალება მისცა საბჭოთა იმპე-
 რიალისტურ სახელმწიფოს გაემაგრებია თავისი პოზიციე-
 ბი ცენტრალურ ევროპაში და შემდევ გაღმოსულიყო
 დიპლომატიურ და პოლიტიკურ შეტევებზე დასავლე-
 თის მიმართ.

საბჭოთა ტორალიტარულ სახელმწიფოს საგარეო პო-
 ლიტიკის ზრახვები და მიზნები ცნობილია: მსოფლიოში
 საბჭოთა რუსეთის გამეფება და იქ საბჭოთა სოციალ-პო-
 ლიტიკური წყობილების დამყარება. ამ გეგმების გან-
 ხორციელებას ემსახურებოდა, პირველ ხანებში, კომინ-
 ტერპროფინტერნი, ჩაბალოს, ხელშეკრულება საბჭო-
 თ ეკონომიკური ავტარქია, იალტა, პოტსდამი. ამჟამად
 დაძაბულობის შენელებისათვის, თანაარსებობის პოლი-
 ტიკის გატარება, რომელიც განსხვავებულად ესმის და-
 სვლეთაღმოსავლეთს.

გავიხსხნოთ ის, რომ დღიდან საბჭოთა დიქტატურის
 ჩამოყალიბებისა, მის მიმართ არსებითად ტარდება ლო-
 რდ-ჯორჯის ლოზუნგი: ვაჭრობა კანიბალებთანაც შეიძ-
 ლებათ. ამ მხრივ საინტერესოა ლენინის წინასწარმეტყვე-
 ლება, წარმოთქმული 1921 წელს. მოუსმინოთ: „კაპიტა-
 ლისტური ქვეყნის მთავრობები, დახარბებული საბჭოთა
 ბაზრების მოპოებით. თვალებს დახუჭავენ რეალობაზე,
 ისინი გაიღებენ კრედიტებს. რომლებიც ჩვენ გამოგვად-
 გება, უცხო კომუნისტური პარტიების დასახმარებლად,
 მოგვაწვდიან ტეხნიკურ ძალებს, იარაღს, რომლითაც
 ჩვენ გვეაძლიერებთ სამხედრო მრეწველობას, და რომე-
 ლიც ჩვენ გამოგვადგება მათზე თავდასხმის მოსახლენად,
 ანუ სხვა სიტყვებით. კაპიტალისტური სამყარო — თვით
 მოამზადებს — ჩვენი მათზე გამარჯვების ნიადაგს და
 სხვ.

კაცობრიობის სამწუხაროდ, ლენინს რამდენიმედ
 აუსრულდა თავისი ნათქვამი. კაპიტალისტური ქვეყნე-
 ბის წარმომადგენელთა მიერ დოლია გამართული, ვინ-ვის
 მიასწრებს მოსკოვში სავაჭრო-სამრეწველო დანაკვეთე-
 ბის მისაღებად; არეინ კითხულობს, რას წმარდება მათ-
 გან გაღებული კრედიტები. ხმარდება თუ არა ჩალეთა

კეთილდღეობას, თუ იგი ხმარდება სამხედრო მრეწველობას, შეიარაღებას, რომელმაც უნდა მოსპოს ეს „კაპიტალისტური წყობა“, რასაკვირველია დასავლეთის დემოკრატიული თავისუფლება, მისი ცივილიზაცია... .

დასავლეთის ხალხი აღფრთვანებით შეხვდნენ თანა-არსებობის იდეას. გავლენიან პოლიტიკურ წრეებმა დაიჯერეს მისი გატარების შესაძლებლობა, ღიქტატურისაგან, რომელიც აწარმოებს შეპარვის, მოტყუილების პოლიტიკას.

საბჭოთა დიქტატურისათვის—დაძაბულობის შენელება ნიშნავს იდეოლოგიური ბრძოლის გაძლიერებას, ეცრო-პიდან ამერიკელთა განდევნას, მისგან სამხედრო შეიარაღების გაძლიერებას და მის უპირატესობას დასავლეთზე, აღმოსავლეთ ევროპაზე გაბატონების შენაჩინებას და სხვ. საბოლაო ანგარიშში, რუსეთის იმპერიალისტური მიზნების მიღწევისათვის პირობების მომზადებას.

რომ წარსულის მაგალითები არ მოვიყვანოთ, საკმარისია ჰელსინსკში, მოსკოველთა მიერ ჩატარებული ორმაგი პოლოტკის აღნუსხვა.

ბრენევი ხელს აწერს ისეთ დოკუმენტს, იღებს ისეთ ვალდებულებებს რომელთა შესრულების განზრახვა გას არ ჰქონდა, სახელდობრ: ეკროპის უშიშროების დამშეოდობიანობისათვის პირობების შექმნა. ატომიურ-განმანადგურებელ იარაღების აკრძალვა, სხვა ერთა საქმეებში ჩაურევლობა და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, იდეათა, ადამიანთა, და ინფორმაციათა თავისუფალი ჯენიფობა. დასავლეთ - აღმოსავლეთს შორის. არც ერთი ამ მუხლთაგანი მოსკოვს არ შეუსრულებია და არც შესრულებს, რადგან ეს იქნებოდა საბჭოთა რეეიმის კედლების ჩამონგრევა. რაც დააჩქარებდა მის საბოლაო ლიკვიდაციას.

საბჭოთა მთავრობამ მოხერხებულად გამოიყენა დღემდე, ზავისა და მშეიღობიანობის პრობლემა, — უცხოეთში თავის პოლიტიკურ გავლენისა, და პოზიციების მოსაპოებლად. ამხრივ, იალტაში დაშვებული შეცდომები ძეირად დაუჯდა თავისუფალ ქვეყნებს.

ჰელსინსკში, მოსკოვის დელეგაციის მიერ ჩატარებულ მუშაობას ჰქონდა ორი მიზანი. ახალ საზღვრების

დადასტურება და თანაარსებობის მოჩვენებითი ერთგულებით. თავის შეპარვითი პოლიტიკის გაგრძელება დასავლეთის მიმართ. პირველის მიღწევა არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ გერმანია ცნობილ იქნა იურდიულად, და მოსკოვმაც დაკმაყოფილება აღვილად მიიღო. რასაკვირველია, შენელების პაქტზე აბა ვის შეეძლო უარის თქმა?

მოსკოვის წარმომადგენლებმა ფართე სიტყვები წარმოსთვეს მის სადიდებლად.

ბრეჟნევის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, თვით ბრეჟნევმა და მის პრესამ ასტეხეს განგაში, იდეოლოგიური ბრძოლის აუცილებლობაზე.

საბჭოთა კულტურასთან თითქოს ნიადაგი გამოეცალა, მაშასადამე აშეარაა, იდეოლოგიური ბრძოლა უნდა გავრცელდეს დასავლეთში, იქაური წესწყობილების დასანგრევად.

გადმოვცემენ რომ კრემლში არსებობს ორი „კლანი“: ერთი ალიარებს დასავლეთ ქვეყნების ეკონომიურ-ფინანსური კრიზისი აჩვარებს ამ ქვეყნების პოლიტიკურ მართველობის სისტემის დანგრევას, ამიტომ საჭიროა დაცემარით გაფიცვებს, გამოსვლებს, მანიფესტაციებს, არ ცეკადაგოთ დაძაბულების შენელებაზეო. მეორენი ამტკიცებენ. რომ დასავლეთი გადაიტანს დღევანდველ კრიზისებს, მათგან გვჭირდება დახმარება. და ამიტომ მათთან დამოკიდებულების გამწვავება მიზანშეუწონელია. როგორც სჩანს პირველმა დასძლია და გრძელდება პოლიტიკა შემოტევის და დასახულ მთავარ მიზნებისათვის დივერსანტულ პოლიტიკის წარმოება ყოველ ფრონტზე.

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს შემდეგი: 1) განიარებაზე ლაპარაკი ზედმეტია, სანამ მოსკოვი თავის ტერიტორიაზე არ დაუშვებს საერთაშორისო კონტროლს. 2) მოსკოვს თავისუფლად შემოაქვს თავის დამწერლობა დასავლეთში, უკანასკნელს უფლება არ აქვს შეიტანოს და გაავრცელოს საბჭოებაზი. დასაექვეთის თავისუფალი პრესა. საბჭოთა პრესას შეუძლია აერცელოს, სწეროს ტყუილები თავისუფალ ქვეყნებზე. ხოლო ამ უკანასკნელთა პრესას არ აქვს უფლება სიმართლე სთქვას, რომელიც ინათლება „ანტისოვეტიზმად.“

არც საბჭოთა მოქალაქეებს გამოუშვებს მოსკოვი უცხოეთში, რომ ისინი გაეცნონ თავისუფალი ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებას. 3) ჰელსინსკში ხელისმოწერის შემდეგ, მოსკოვმა ჩაერთა პორტუგალიის შენაურ საქმეებში, თუ იქ ვერაფერს მიაღწია, ეს მიეწერება პორტუგალიის ხალხის სიცხიზღვეს და მის პოლიტიკურ სიმწიფეს; სამაგიეროდა პორტუგალიიდან განთავისუფლებულ ქვეყნის, ანგოლას სამოქალაქო ომში. კუბის ჯარები და ფული მიაყირა ერთ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც მას თანაუგრძნობს, რომ ამით ამ ქვეყანაში მიაწიოს თავის პოლიტიკურ გაელენას.

აი ასე ასრულებს მოსკოვი სხვა ერთი შინაურ ცხოვრებაში ჩაურევლობას. განა ჩვენმა მეითხველმა არ იყის. არა ერთი მუხანათური მაგალითი სხვა ერთა მიმართ ჩადენილი, რომ აქ ალარ გავიმეოროთ. . .

ამ ქამად ორი გიგანტი, ამერიკა და რუსეთი საკმაოდ ალპურვილნი არიან განმანადგურებელი იარაღებით და ქვეყნიერების, რომელიმე მხარეში, პოლიტ.-მხედრული წონასწორობის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგი. ორ მოქიმშე სახელმწიფოს ადრე წამოეწევა ჩინეთი თავის მრავალრიცხოვნი მცხოვრებით. ამ სამი დიდი ერთეულის ინტერესები, ჯერ-ჯერობით პირველი ორის მაინც, ერთი მეორეს ეპირისპირებიან. აზია-აფრიკის, შორეულ თუ ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვაზე თუ სხვადასხვა კუთხეებში. მოსკოვ-პეკინის დაძაბული მდგომარეობა, თითეულს უკარანხებს მოკავშირეების და თავიანთ სასაჩვენებლო პოზიციების ძებნას. აღმოსავლეთიდან მოწოლილი საფრთხის გამო, მოსკოვი აგრძელებს ცდებს ევროპას ნეიტრალიზაცია მუხლით. ამერიკის გავლენა იქიდან მოშალოს, ატლანტიკის თავდაცვითი ორგანიზაცია დაარღვიოს.

არც ერთი მისი სურვილი არ სრულდება. ჰელსინსკში დადებულ ხელშეკრულების არშესრულებამ ეცრობის საზოგადოებრივი აზრი უსათუოდ გამოაფხიზლა. რასაც ხელი შეუწყო საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ე. წ. პოროტესტანტულ მოძრაობამ; ამ მხრივ საყრდადლებოა და თვალსაჩინო, ევროპის თავდაცვითი ღონისძიებების გაძლიერება და ზოგიერთ სახელმწიფოს მეთაურთა

გამოსცემის აქ მხოლოდ ერთს მოვიყვანთ. ბელგიის თავდაცეის მინისტრი აცხადებს: „რა მდგომარეობაში ჩაერდებით, რომ ხეალ მოისცოს ამერიკის ატომიური ზონა? ჩვენ ჩავარდებით მძიმე მდგომარეობაში, ევროპა უნდა გაერთიანდეს არა მარტო ეკონომიკურად და პოლიტიკურად, არამედ მხედრულად. ეს აუცილებელია ჩვენი თავდაცეისათვის“. მინისტრი საბჭოთა მთავრობას ბრალს სცებს: იმპერიალისტობაში და აგრესიულობაში, და აგრძელებს: „საბჭოთა მთავრობამ შესძლო და ეჯერებია ჸვერობის ზოგიერთი პირები იმაში. რომ დაბაბულობის შენელების გამო, არ არის საჭირო ატლანტიკის თავდაცეითი ორგანოები და ამიტომ შეიარაღებაზე ფულის ხარჯვა ზედმეტია, მაგრამ მე რეალისტი ვარ. ასე ამბობდა პიტლერი 1939 წელს“. — შემდეგ მინისტრი აუცილებელ საჭიროებად სცნობს ამერიკელებთან მჰიდრო კავშირს...

უაღრესად მინიშვერელობანია ჩინეთის პოზიცია ეპროპის მიმართ. რომელიც აფრთხილებს მას, თანაარსებობის, დაბაბულობის შენელების საკითხში. ილუზიებს ნუ მცეცემა. ჩინეთი სიმპატიით სარგებლობს ზოგიერთ „სატელიტებში“. მასში ხედავენ თავიანთ ქვეყნის, — მართალია ფრიად შეკვეცილს, მაგარმ მაინც ნაციონალურ სახელმწიფოებრივ — დამოუკიდებლობის გარანტიას...

რადგან ამერიკა-ევროპის პოზიციების შერყევა, არც ეს ადვილი შეიქნა, მოსკოვი გარს უვლის დასაცლეთს: ხმელთაშუა ზღვიდან, ინდოეთის ოკეანეზე ბაზების შოენის ცდებით. აწარმოებს სხვადასხვა დივერსანტულ პოლიტიკას, საბერძნეთ-ოსმალეთში მისთვის საწინააღმდეგო ბაზების მოსაშელელად. ხოლო აღმოსავლეთში მოსკოვის პოზიციები შერყეულია. ეგვიპტის დასავლეთთან დაახლოების გამო. შორეულ აღმოსავლეთის ზოგიერთი ღრმა პოლიტიკური მოვლენებიც არ ეწყობა მოსკოვის სასაჩვენებლოდ.

დამახასიათებელია, რომ ჩინეთი თუ წინად ეწინააღმდეგებოდა ამერიკა-იაპონიის დაახლოვებას, დღეს მას ხელს უწყობს და სასურველად ცნობს, რადგან მიმართულია აღმოსავლეთში რუსეთის ამბიციების წინააღმდეგ.

იაპონიას სრულებით არ მოუხსნია კურილის კუნძულების მისამის დაბრუნების მოთხოვნილება.

მეორეს მხრივ, ჩინეთ - იაპონიის კომერციულ ხელშეკრულებაში მიღებულია, რომ ორივე მხარე უნდა აღდგეს, თუ აზიაში მესამე სახელმწიფო მოინდომებს თავის გეგემონიას.

ეს მესამე ცხადია, იგულისხმება რუსეთი, რაც ძალიან კარგად ესმის მოსკოვს და ანკრებულებს მის მართველებს. თუ წინად ჩინეთ-ამერიკის შორის არსებობდა უთანხმოება კორეას დაცვის გამო, ახლა ჩინეთი თვით აცხადებს, რომ ურიცდება ამერიკის როლს თავისუფალ კორეას დასაცავად, და სასურველად მიაჩნია დაეხმაროს მას.

როგორც ვხედავთ, ჩინეთ-ამერიკა-იაპონიას შორის თუ არ არსებობს ფორმალური ფრონტი, ინტერესთა შეხვედრაში მათი ფაქტური დამეგობრება მოხდონა, რაც უაღრესად დიდი ფაქტორია საერთაშორისო ძალთა ურთიერთობაში.

„პეკინის მიმოხილვა“, რომელიც გამოდის სხვადასხვა ენაზე, 25 აპრილს 1975 წ. ნომერში წერს: „საბჭოთა რუსეთს აქვს მიღწევები დასაცლეთის ქვეყნებში, მან ვა-აძლიერა მილიტარისტული აქციები ზღვაზე, რაც შეუმჩნევი არ დარჩენილა ამერიკისათვის, რომლის სამხედრო მინისტრი ამხელს სამხედრო ფლოტის გაძლიერებას, სამხედრო ბაზების მოპოვების ცდას ინდოეთის კუკანეზე.“

ჯერ-ჯერმობით არ შეიძლება ჩინეთს არ ეშინოდეს რუსეთის, რადგან პირველის ეკონომიკურ - მხედრული მომზადება საგრძნობლად სუსტია მეორეზე, ამიტომაც. მისი ინტერესი მოითხოვს, ეკონომა-ამერიკა იყოს ძლიერი... უთანხმოება და დაპირისპირება პეკინ - მოსკოვის შორის რჩება უცვლელი: ჩინელებს სრულებით არ მოუხსნით დავა ამურ-უსური, თუ ყაზახისტანს საზღვრებზე, ტერიტორიებზე, რომელიც მიუთვისებიათ მეფის მთავრობას, კოლონიალურ ხანაში. ჩინელების მტკიცებით, უხეში ძალით დადგებულ ხელშეკრულებას ამხრივ არაეითარი ძალა აღარ აქვს, და სურთ დაიბრუნონ ეს ტერიტორიები.

ჩინელთა სურვილია გახდეს ეკონომიკურად და მხედ-
რულად მძლავრი სახელმწიფო. დრო მისთვის მუშაობს;
იმი დღევანდელ ატომიურ ხანაში დამლუპველია მთელი
კულტურული მაგრამ ამ ორ დიდ წითელ ერთე-
ულთა შორის დატყების პერსპექტივები არსებობს, რო-
მელსაც შეუძლია ჩაითრიოს მთელი მსოფლიო. რომ ეს
აცდეს კაცობრობას. საკრია მძლავრი ფრთხის შექ-
მნა, თავისუფალ ქვეყნებისაგან; დემოკრატიულ - ლიბე-
რალურ - სოციალისტურ ძალებისაგან. რომლებიც წინ
აღუდებიან აღმოსავლეთიდან მოწოლილ საფრთხეს.
თუ არა — საშიშროება რეალურად იქცევა. და დიქტა-
ტურის მმერიალისტური ტალღები წალევავენ დასავ-
ლეთის კივილიზაციას, დემოკრატიულ თავისუფლებას.

საბჭოთა მთაერობის სამხედრო ლოკტრინა და პრაქტიკა, მისი იმპერიალისტური მისწრაფებანი, ყოველდღიურად შეიარაღების ზრდა, ყოველ ლოკალურ სამხედრო კონფლიქტში, რომ ერთს მხარეს აწევდის იარაღს და ფინანსებს; აი რა ქმნის ომის ფსიხოზს და რეალურ საფოთხეს.

საერთაშორისო მდგომარეობის მცირე ანალიზს მივყევართ შემდეგ დასკვნამდე: მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად. დასავლეთის ძირითადი პრინციპებია: თავისუფლება ერის, ხალხის, ადამიანის, რომელსაც მეთაურობს დემოკრატიულ - ლიბერალური ძალები. მეორე ბანაკის: — დამორჩილება ერის, ჩაგვრა ხალხის, ადამიანის, ამ თრისამყაროს შორის ხიდი ჩატეხილია, ორმო გათხრილია, მათი ერთ ბანაკში მოქცევა ფუჭი ოუნება.

თანაარსებობა ამ ორ სამყაროს შორის. ნაკარნახევია საბჭოთა მხრიდან ეკონომიტური კრიზისების დასაძლევად, დასაცლეთიდან დახმარების მიღება, ხოლო დასავლეოს მხრიდან სამრეწველო დაკვეთების მიღებით. . .

არავითარი დაომობა მოსკოვიდან ამ ხდება იდეოლო-
გიურ ფრონტზე. მაშასადამე თანაარსებობა არის დრო-
ბითი, წარმავალი, როგორც ეს იყო 1922 წელს, ე. წ.
„ნეპის“ სახით...

დღევანდელ მსოფლიოს ფრიად დაძაბულ კითარებაში, როგორი უნდა იყოს. საბჭოთა იმპერიაში ჩატედილ ერების განმანთვისუფლებელი გზები?

ჩეენ ამას წინასწარ უპასუხეთ ავტისტოს, საგანგებოდ გამოცემულ “ღროშის” ფურცლებზე, სადაც ვითვალის-წინებდით ბრძოლის ისეთ მეთოდების და საშუალებათა გამოყენებას, რაც მის ეროვნულ სხეულს გამოუსწორებელ ზიანს და განუკურნებელ ტკივილებს არ მიაყენებს.

პ. სარჯეველის.

ჩართვის დედაო. ძუძუ ჩარ-
 თლისა,
 უჭინ მამულსა უზრდიდა შვილ-
 სა“.

• ღ ღ ღ .

ნუ თუ უნდა ვითიქროთ, რომ ეს გულმოყლული მო-
 წოდება მეოსნისა ესაჭიროება ქართველ დედებს?

ნუ თუ დღეს ქართველი დედისათვის დამაფიქრებელი
 ორა, მის გარშემო შექმნილი ეროვნულ - პოლიტიკური
 პირობები, რომლითაც უმზადებენ ქართველ ერს გადაგვა-
 რებას? ასეთ მძიმე განცდებმა შეიძყრეს ჩვენი სული და
 გული, როცა „საქართველოს ქალი“-ს მექქეს ნომერში
 ამოციითხეთ უცნობ ავტორის, მაშასადამც მთელი რე-
 დაქციის მიერ გაზიარებული სიტყვები: „ჩვენი რესპუბ-
 ლიკის, განსაკუთრებით კი სოფლის დაწყებითი კლასებ-
 ში, ჯერ კიდევ საქმიოდ გვყვანან ბავშვები, რომლებსაც
 სკოლაში უჭირთ რუსული ენის შესწავლა. მოკლებული
 არიან რუსულ ენაზე მეტყველების გარემოს. ოჯახშიც არ
 ესმით არც ერთი რუსული სიტყვა. და სწორედ ასეთი ბავ-
 შვებისათვის მოაქვს დიდი სარგებლობა სატელევიზიო
 გადმოცემებს ენის შესასწავლად. ბავშვები ისმენენ სწორ
 მეტყვლებას, ეუფლებიან სიტყვების გამოთქმას, იხსომებენ
 მათ მნიშვნელობას და მასწავლებლის მიბაძვით ცდილო-
 ბენ წინადადების გამართვას რუსულ ენაზეო“-ო

ტელევიზიაში თურმე უჩვენებენ თოჯინებს, სათამაშო
 მანქანებს. ლამაზად შესრულებულ ნახატებს და სხ.

უურნალი ასკენის: „პედაგოგს ისე ბუნებრივად მიჰყავს ეს გადაცემები, რომ ბავშვებს აეწყდებათ დრო და მანძილი, უნებურად, თავიანთ აღგილებიდან ესაუბრებიან, პასუხობენ“. მაშ ასე, სოფულის დაბალ სკოლებში, ბავშვები კერ ითვისებენ რუსულს, ოჯახშიც არ ესმით რუსული სიტყვა, მაშასადამე, აუცილებელი ყოფილა უფრო მჭრელი იარალი, ახალი ხერხი, რომ ამ „უბედურებას“ ბოლო მოეღოს. და ამ მხსნელიც აღმოჩნდა, — საუბარი ტელევიზიონში, რომლის სულის ჩამდგმელი ყოფილა მანდილოსანი ღოცენტი გულნარა ქუთათელაძე. . .

მეფის მოხელე-მასწავლებლები აწვალებდნენ ბავშვებს, უხეში მოპყრობით, და გადაცემის უხეში მეთოდით, ცდილობდნენ ჩაენერგათ ნორჩ გონებაში, რუსული აზროვნება. ახლანდელი რუსეთის სასკოლო პოლიტიკა ამ მხრივ უფრო მოქნილია, შემპარავია; სურათებით, თოჯანებით მიმზიდველია, აშერა რუსიფიკატორულია, გადაცვარების მიზნით მოგონილია, მაცდურია და მზაკვრული. ის შორს უმიზნებს, მაგრამ ეს შორეული არც ისე შორსაა, კიდევ ორი ან სამი თაობის საქმეა, ჩვენი მომავალი, ეროვნული სახეობისათვის ტრადიცულია.

ვის შეუძლია იყვეს წინააღმდეგი უცხო ენის შესწავლის, რომ ის ხდებოდეს მას შემდეგ, რაც მოწაფემ საფუძვლიანად შეისწავლა მშობლიური ენა.

გადმოგვცემენ საჩრდენო წყაროებიდან დაუჯერებელს, რომ არის შემთხვევა ქართველ დედას, ჩვენს დედაქალაქში, ბავშვი მიჰყავს რუსულ პირველ-დაწყებითი სკოლაში, რომ რუსული ანბანით დაიწყოს ბავშვმა კითხვის შესწავლა. ვაკითხებით ქართველ მანდილოსნებს „ქართველი ქალის“ რედაციიდან, რატომ უნდა აწუხებდეს მათ რომ სოფულის ოჯახში ბავშვს რუსული სიტყვა არ ესმის? რატომ ასე მისტირიან მცირეწლოვან ბავშვისაგან რუსული ენის შეუთვისებლობას? მადლობა განგიბას რომ ჯერ-ჯერობით მაინც ასეა სოფელი ხომ ყველაზე მეტად შემნახველია ეროვნული მეობის, ტრადიციების. სამწუხაროდ სოფლის დამორჩილების ცდაც შეიძლება ტრადიცული განხდეს. რადგან ის ბავშვები, რომლებსაც ახლა სურათ შეათვისონ რუსული ენა, მათ შეიძლებს ალარ დასჭირდებათ ტელევიზიონი, ისინი დედ-მამისაგან

დღვილად ისწავლიან რუსულ ენას. აი როგორი მუხანათურია მეთოდი მცირეწლოვანთაოვის რუსული ენის სწავლებისა.

ვინ უნდა ებრძოლოს ყველაზე მეტად ასეთ შემთხვევებს? ქართველ ქალმა. რა გამამხნევებელია ამ მხრივ ერთი ამბავის გახსნება როცა ათი-თხუთმეტი წლის წინ, ბათუმში ლაარსდა ქალთა წრე, რომლის წევრები იყრიბებოდნენ „ფინჯან ჩაიზე“, საუბრის დროს, თუ რომელიმეს წამოცდებოდა რუსული სიტყვა იხდიდა ჯარიმას. გაიგეს და წრე დააპატიმრეს. „იზვესტიამ“ თუ „პრავდამ“ მოწინავეში თავს დაესხა და გაკიცხა ქართველ ქალთა „თავებობა“.

თუ ასეთა და სხვა ამგვარი წინააღმდეგობის წახალისება არ შეუძლია „საქ. ქალს“, თავი მაინც შეიკავონ მცირეწლოვან ბავშვთა გადაგვარების მეთოდის ქება-დიდებისაგან. . .

ა. ბადრიძე.

შავი თებერვალი

ორმოცდათხუთმეტი წელი გვაშორებს 1921 წლის შავ თებერვალს, რის წინეთ არ ვიცოდი თუ რა იყო უბედურება; მქონდა სამშობლო, ვამაყობდი რომ ვიყავი შეიღი თავისუფალი საქართველოსი; ვამაყობდი რომ ვიყავი სრულუფლებიანი მოქალაქე. სუვერენულ სახელმწიფოსი.

თებერვალმა მამცნო ჩემი უბედურება, თებერვალმა მამცნო ბოროტის კეთილზე გამარჯვება, თებერვალმა მომტაცა და მომიკლა ჩემი თავისუფალი სამშობლო საქართველო, რომელიც იყო ჩირალდანი სამართლიანობის, კაცომიყვარეობის, ძმობის, ერთობის და თავისუფლების.

დავკარგე უდიდესი საუნჯე და მას თან გაჲყვა ჩემი გული, ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი ოცნება და იმედები. შემჩრი სიცოცხლე, მაგრამ სული ობოლი, სული დატან-ჯული. გავხდი სამუდამო ლტოლვილი; უცხოეთში ყოველგვარ მოქალაქობრივ უფლება აყრილს, მომცეს პი-

რადობის მოწმობა სამარცხვინო წარწერით: „გადმოხიზნული, წარმოშობით ქართველი“-ო. ძნელი ყოფილა სხვის კარზე ცხოვრება, კიდევ უფრო უზომოთ ძნელი ყოფილა სამშობლოს დაკარგვა.

ვხედავ ჩემ გატანჯულ, უცხოეთში გდებულ, სიცოცხლის დასასრულს. სულ არ მაშინებს სიკედილი; ღვთის ნებასურვილს მორჩილი, დამშეიდებული, მაგრამ ამდენი უსამართლობით გულგატებილი ვემზადები, საბოლოო დიდ მგზავრობისათვის, ვწუხვარ მხოლოდ ერთს ჩამეს სამშობლო ჩემთ! რომ თებერვალმა აღარ მალირსა შენი მიწაც კი განსასვენებლად.

ჩემთ სანატრელო, საყარელო, სასიქადულო, პატარა მაგრამ მხნე და ზეიადო ქართველო ერო! ძვირად გიჯდება შენი თვალწარმტაცი სამშობლოს შენარჩუნება, დაუკა, მოვლა და პატრონობა. საუკუნეების მანძილზე გებრძეიან, რომ გადაგვარონ, მოგსონ, და გაგანადგურონ, მაგრამ ვერ დაგძლიერ, რადგან შენ თავგანწირულად იცავ შენს სამშობლოს, შენს მეობას და იბრძვი თავისუფლებისათვის. სიტყვა თავისუფლება. ეს თითქოს უბრალო და ჩეკულებრივი სიტყვაა, მაგრამ ეს, ის უდიდესი ძალაა, რომელმაც გადაატრიალა მთელი მსოფლიო, და რომლის წინაშე უსუსურნი არიან ყველა ბოროტი, უხეში და ტირანიული ძალები. ამ ლოზუნგით, ამ დროშით, შენ კელავ გამოხვალ გამარჯვებული. შენ კვლავ იქნები თავისუფალი!

საქართველოს განმანათებელო წმიდაონინო! ამ 55 წლისთვზე, მოწიწებით, გულის ფანცქალით შეგთხვდა გევედრები შეაჩვენე და დასწყვევლე ყველა ის პირი თუ პირი, ვინც პირველად განიზრახა, შენი ხევდრი თავისუფალი საქართველოს პოლიტიკური მკელელობა.

მეზიზლები, მეზარები შავო თებერვალო! დალახრულ აქნას შენი სახელი, შენი სსენება, შენი მოგონება, შენ დაგამიწებს თავისუფლება, კვლავ გაიმარჯვებს მაისი.

ლევ. ფალავა.

— : —

თურქეთი - შავი ზღვა

ამას წინადა, ერთერთ მაღაზიაში წავაწყდი თურქეთში გამოსულ პატარა ლამაზად და მდიდრულად ილუსტრირებულ წიგნს, რომლის სახელია: „თურქეთი-ზე ზღვა“. წიგნი დაწერილია გერმანულ ენაზე და რაოჭმა უნდა, განკუთვნილია ტურქისტებისათვის, რომლებიც თურქეთში ჩადიან.

ჩევნ დაგვაინტერესა ამ წიგნში იმ ადგილებმა, რომლებიც საქართველოს ექვებიან და ეს საკითხი გვეხება ჩევნ იმდენად, რამდენადაც ამ ადგილებთან არის დაკავშირებული საქართველოს სამეფოს ისტორიის მსვლელობა. ამ წიგნში ლაპარაკია ალექსი კომენძოსზე, რომელმაც ტრაპიზონის იმპერია დარსაო და არაფერია ნათევამი იმ როლზე, რაც ამ იმპერიის დაარსებაზე, საქართველო-კავკასიურმა სამეფომ ითამაშა, მისი მეფის დიდი თამარის დროს.

როგორც ეს ცნობილია, 1204 წელს, ჯვაროსნებმა, სამწუხაროდ, ბიზანტია დაინაწილეს. სწორედ ამ დროს საქართველოს სამეფო კარი აქტიურად ჩაება ბიზანტიის საქმეში. ქართულ-კავკასიურმა ლაშქარმა, თამარ მეფის შრძანებით დაიკავა კანეთი ანუ ლაზეთი, რასაც დღეს ლაზისტანს ეძახიან და სადაც სახლობენ ქართველი ტომები კან-ლაზები. ამავე დროს, თამარის ძლევამოსილმა ჯარებმა აიღეს თვით ტრაპიზონი, სამხონი, სინოპი, კერასუნტი, ჰერაკლეა და სხვ. ამ დაპყრობილ ქვეყნებიდან დიდმა თამარმა შეკემნა ტალკე სახელმწიფო, სადაც მეფედ დასვა, საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილი ბერძენი უფლისწული, დიდი თამარის ნათესავი ალექსი კომნენისი. აი ამ იმპერიაზე იყო ქართულ-კავკასიური სამეფოს პოლიტიკური გავლენა. იგი მოექცა საქართველოს მფარველობაში.

როცა ტრაპიზონზე ელაპარაკობთ, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმერეთის მეფის სოლომონის ტრაგიკულ ბედს, გამოწვეულს სამშობლოს ტრაგიკული ბედიდან. მტრისაგან, ესეიგი რუსეთისაგან დევნილმა სოლომონმა, თავი შეაფარა თურქეთს და ტრაპიზონში გაითხარა, იმ პოლიტიკურად დევნილი მეფის საფლავი. ერთხანს მის

სალავზე ძეგლიც კი მდგარა, მაგრამ ეამთა ვითარებაში ეს საფლავი გაპარტიანდა და ბოლოს საბოლოოდ დაიკარგა კიდეც.

გერმანელი მეცნიერი და მეცნიერარი ქართველი ერისა, ფონ-ვესენდონკი თავის წიგნში: „აუს დერ კაუკაზიშერ ცილტ“. რომელიც გამოვიდა 1925 წელს ბარლინში, შემდეგს წერს: „ტრაპიზონში გარდაიცვალა 1815 წელს, ლარიბი და ყველას მიერ მიტოვებული უკანასკნელი მეფე დასავლეთ საქართველოს—იმერეთისა სოლომონ მეორე, რომელიც რუსებმა თავისი ქვეყნიდან განდევნესო“.

ამ წიგნში, სწორედ იმ გვერდზე, სადაც ტრაპეზონის აღწერაა, მოთავსებულია ფერადი სურათები თურქი მამაკაცებისა, მაგრამ ხელად გამოაჩინეს დაკვირვებული და მცირდნე ადამიანი მათ ვინაობას. ესენი ზომ პირწავარდნილი ლაზი-ჭანები არიან თავიანთი კოლხური აღნავობით. ბაზლაუშემოკრული ეს ვაჟაცუბი ნამდვილ თანამედროვე მეგრელებსა ჰგვანან.

შემდეგ ამ წიგნში, ლაპარაკია ამ მხარეში, შევის სანაპიროზე სახლების მშენებლობაზე. ლაპარაკია იმაზე, რომ ეს საცხოვრებელი სახლები თავისებურ მშენებლობას წარმოადგენს, მაგრამ ერთი სიტყვა არ არის დაძრული იმაზე, რომ ეს „თავისებური“ ნაგებობანი, სწორედ ლაზურ-ჭანური სახლებია.

თუმცა რათქმა უნდა, განა კარგად დახედული უცხოელი ტურისტი ვერ შეამჩნევს განსხვავებას ანატოლიური ტიპის სახლებსა და ჭანურ-ლაზურ სახლებს შორის?

შემდეგ ხსენებულ წიგნში, მოცუმულია ცალკე თავად ართვინის ოლქი. მოცუმულია პატარა ისტორიული „დე-ტალი“ ამ ქალაქშა და ოლქზე. ჯერ იყი შედიოდათ პონტის სამეფოშიო, შემდეგ მას დაეპატრონენ რომაელებით. და ბოლოს ეს ტერიტორია ხალში აიღო საქართველოს სამეფომათ. ეს ცველაფერი კარგია და ნათელია მაგრამ თანაც ულოლიობას შეიცავს, როცა ამავე წიგნი ნათქვამია შემდეგი: „1921 წლის მარტში, ის მხარე საბოლოოდ დაუბრუნდა ისევ თავის მშობლიურ მხარესთ — ესეიგი თურქეთსათ“.

ეს არის ისტორიული სინამდვილის დამაზინჯება და აი რატომ: დღიდან კავკასიაში ქართული სახელმწიფოს

წარმოშობისა, და მით უფრო ტაოკლარჯეთის სამეფოს არსებობის დროს, ეს მხარე ქართულ სამეფოში შედიოდა. მეფე დავით კუროპალატმა აქედან დაიწყო ქართული მიწების შემოქრთებისათვის ბრძოლა და ეს მხარე იმ დროს ქართული ეროვნული კულტურის აკანს წარმოადგენდა.

1918 წელს, ოსმალებმა დაიჭირეს იგი. ხოლო 1920 წ. დამოუკიდებელი ჩესპუბლიკის ჯარებმა კვლავ დაიკავეს იგი და ჩესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. 1918 წ. მარტში, ბრესტლიტოვესკის ხელშეკრულების საფუძველზე, საბჭოთა ლენინურმა რუსეთმა, ეს ოლქი მისი პატრონის, ქართველი ერის დაუკითხავად მიუბოძა, თავის მაშინდელ მოკავშირეს ქემალისტურ თურქეთს. წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს, ეს მხარე თურქებმა ხელახლა დაიკავეს. 1921 წელს. ლენინმა ეს სასიკვდილო აქტი ჩვენი ერისა, 1921 წლის ყარსის ხელშეკრულობით დაადასტურებია ახლად „შექმნილ“ საბჭოთა საქართველოს მარიონეტულ მთავრობას. ასე რომ ეს მხარე კი არ დაუბრუნდა თავის „მშობლიურ მხარეს“, როგორც ეს ამ წიგნში სწერია, არამედ თურქებმა, საბჭოთა რუსეთის დახმარებით, ძალით მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს, საქართველოს. მაგრამ დღეს კაცი არ არის საქართველოში რომ ამაზე სხა ამოიღოს, ხოლო ყველა ქართველმა კარგად იცის, რომ ეს მხარე დაკარგულია. მაგრამ ეს დაკარგული ტერიტორიები არც ერთი ქართველი ადამიანის მიერ არ არის დავიწყებული.

დასასრულს ლაპარაკია ამ წიგნში შავშეთშე და სამართლიანად აღნიშნულია, რომ ამ ადვილებში არის ქართული მოსახლეობაო. იქვე ნათქვამი, რომ 364 წელს, აქ ეკლესია აუშენებია ქართველ მეფეს. შავშეთში ბევრია ქრისტული ეკლესიებით — მოგვითხრობს ეს წიგნი. ბოლოს ნათქვამია, რომ სოფელი სარტისის ერთი ნახევარი ეკუცნის თურქეთსა და შეორე ნახევარი კი რუსეთსაო. კარგი იქნებოდა ეთქვა საქართველოსაო, მაგრამ საქართველო იმ დღიდან, რა დღესაც მას საბჭოთა რუსეთმა წაართვა სუვერენობა, ამოშლილია მსოფლიო რუკიდან როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მაგრამ ერი ხომ არსებობს — ქართველი ერი, რომელმაც კარგად იცის, რომ არამც

თუ სიფელი სართი, არამედ შავშეთ-ერუშეთი, ღაზეთ-
 ჭანეთი, ტაო-კლარჯეთი, არც საბჭოთა რუსეთისაა და
 არც თურქეთის საკუთრებაა. იყი ქართველი ერის ისტო-
 რიული ეროვნული მიწა-წყალია, სადაც სამი ათასი წლის
 განმავლობაში ულვრია საკუთარი სისხლი, და სადაც გა-
 ნისვენებენ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ძვლები. აი შე-
 დეგი იმისა რაც მოხდა მას შემდე, როცა საქართველო და
 მასთან მთელი კავკასია მოექცა რუსეთ-თურქეთის პოლი-
 ტიკის სფეროში.

„ სამწუხაროდ ამგვარ ყალბ ცნობებს ავრცელებს თურ-
 ქეთის ტურისტული საზოგადოება საქართველოს ისტო-
 რიული ტერეტიორიების შესახებ. რომელიც დღეს თურ-
 ქეთის მფლობელობაში იმყოფება.

ნუთუ ამ წიგნშა საქართველოში ვერ ჩააღწია, და თუ
 ჩააღწია, რას მბობენ ნეტავ ჩვენი ისტორიკოსები?

მაგრამ რა უნდა სთქვან. როცა ისინი, სამწუხაროდ, მოქ
 ცეულნი არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პრტიის
 იდეოლოგიით განმტკიცებული ლენინური ნაციონალური
 პოლიტიკით, ხოლო ამ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას
 რაში ენაღვლება საქართველოს ან ისტორიული წარსუ-
 ლი ან მისი მომავალი?

მინდია ლაშაური.

კომისიის მომავალი ვ მ რ ა ლ ი

საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების თეორეტიკო-
 თა საზრუნავი საგანი მუდამ იყო და არის, ადამიანის
 კომუნისტურ მორალზე აღზრდა.

რამდენი ტრმები არ დაიწერა ამ საგანზე, იმის გამო-
 სარკვევად და დასადგენად, თუ რა საფუძველზე უნდა
 დამყარდეს კომუნისტური მორალი. რა ახალ სულიერ-
 ფსიქოლოგიურ და კულტურულ ჩარჩოებში უნდა ჩამო-
 ყალიბდეს ახალი ადამიანის პიროვნება. მისი მორალი.

პირველ ხანებში ეს ამოცანა დაეკისრა სტალინის „სუ-
 ლიერ ინინრებს“, — ანუ მხატვრულ მწერლობას, რო-
 მელსაც დაევალა განსაკუთრებულ ტიპების შექმნა; სა-

ზოგადოებისათვის თავდადებულნი, სპეციანი, პატიოსანნი, კარგი მეოჯახენი, უანგარონი და სხვ. რადგან საბჭოთა ცხოვრების სინამდვილე ასეთებს არ იძლეოდა, მწერლებიც ეწვალენ; ბევრშა კალამი ხელიდან! გააგდეს, ზოგიერთა მონაცემით დაკნინდა მხატვრული მწერლობა. ზოგმა შესძლო ოქა-იქ, მხატვრული ხებით, ბილიკებით გამოხატა ოქტომბრის ღოვნებშე აღზრდილი ტიპი; გავიხსენოთ „ჯაყოს ხიზნები“, სადაც ნიკიერმა მწერალმა საჩკეში ჩაგვახედა და დაგვანახა, მოსკოვის სასახლეში გაბატონებული ჯაყოს მორლური სახე...“

ერთ, უმთავრეს საფუძველად აღიარებული იქნა, ნიშანდობლივ, აღამიანის დამკიდებულება შრომასთან.

შრომა ხალისიანია, მიმზიდველია, ამიტომაც კომუნისტური მორალი თხოულობს მუშისაგან ზედმეტი შრომის გალებას; ასე წარმოიშვა თავის ღროვზე სტანციებინა, შრომის გმირები, ეს ახალი ფორმა შრომის გაუვლებელის...

მოკლედ, კომუნისტური მორალი ერთი უდიდეს საშუალებათაგანია შენარჩუნებული იქნას დიქტატურა, ბატონობა ხალხზე... აი საბუთიც: ქ. მცხეთაში, საგანგებოდ მოწვეული იქნა მუშაკ-მეცნიერთა ყრილობა, (იხ. „კომუნისტი“ 27-8-75), სადაც გადაიშალა გულშემზარევი სურათი: მექრთამეობა, ლოთობა, ცილისწამება, დაბეჭდება, ანონიმური წერილები, ხალტურის ყოველნაირი ფორმები, მოხვევილობა და სხვა. სანტერესოა მომსენებელთა გამოსკლები: „თუ ამ სოციალურ სენს ბოლო არ მოედო, კომუნისტურ მორალი უერ გაიმარჯვებს, უნდა გამოინახოს მისი წარმომშობი მიზეზებიო. მართალია ჩვენს საზოგადოებაში არ არის მიზეზები, ზომლებიც არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს არ იყოს ობიექტური მიზეზები, მაგრამ ისინი არ გამომდინარეობენ ქვეყნის სახელმწიფო ეკონომიკურ ბუნებიდან“.

ასეთ ულოლიკობაში ვარდება; არ სურს სიმართლე აღიაროს. — ობიექტური მიზეზები არსებულა, ამაში კი ბრალი არ მიუძღვის საბჭოთა სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებას. რა ლონისძიება დასახა მაინც ყრილობამ ამ სოციალურ სენის მოსასპობად?

ხალხის კეთილდღეობა, ეს იყო უსათუოდ გულაბილი ალსაჩება. რომელიც ჯერ არ დამყარებულა, მაგრამ პარტიის მომავალ ყრილობას აქვს გეგმა და უსათუოდ მოსპობს ყოველგვარ მიზეზებს; დაამყარებს ნივთიერ კეთილდღეობას. (იხ. „კომუნისტი“-ს იგივე ნომერი).

... სანამდის ხელისუფლება სიტრაბაშით კვებავს ხალხს, მისი განაღლება კი არ ხდება, მოქალაქე იძულებულია სხვადასხვა კომბინაციებით, ხალტურით და შავი ბირჟით, გაქურდვით თუ დატაცებით გაიტანოს თავი.

მაშასადამე, სწორ რომელიც მოედო საზოგადოებას და მის აღმოსაფხვრელად სხვებს მოუწოდებენ, მათივე ეკონომიკურმა და სოციალურმა სისტემამ წარმოშვა და არა ძველთაგან გადმონაშთენია, როგორც მუდამ იმურებს საბჭოთა პრესა.

არავითარი კონკრეტული ზომები ყრილობას არ გაუთვალისწინებია. განმეორებული იქნა ლენინის სიტყვები, რომელიც მას უთქვამს 30 მარტს 1918 წელს: „შეიქმნას სასამართლო სწავლი, რევოლუციონური, დაუნდობელი, მექანიზმების და მტაცებლობის წინააღმდეგ“.

ას „დამყარდა“ ჩვენს წმ. ქალაქში კომუნისტური მორალი.



ზეჩენებებს, ადათებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერის ცხოვრებაში; ისინი ხელს უწყობენ ეროვნულ სახეობის შენახვას, სულიერად აკავშირებენ თაობებს. განსაკუთრებით დღეს, როცა ქვეყანა განიცდის ეროვნულ-აოლიტიურ შევიწროებას, ქართველობას ეძლევა საშაკალება ერთომეორესთან დაკავშირებით, გაეცნონ ერთი-ძეორის ტკივილებს. მწუხარებას თუ სიხარულს, გაიზიარონ ერთი-მეორეს ბეჭდიერება თუ უბედურება.

რასსკვირეულია, უდაოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ კადაჭარბებული ქელები და საზღვაპრო ქორწილი, აჩახაგებები ოჯაბურ დოვლათს, ხშირად იწვევენ ლრძა უსია-სოენო შემთხვევებს. მაგრამ არ არის ამის მიზეზი, რით შეიძლება მისი ნორმალურ ჩარჩოებში ჩაყენება? ასის გარშემო იყო ლაპარაკი საჩერებში შეკრებილ პარტ-კო-ფერენციაზე. რასაკვირვლია, ბევრი მოხვდა „იმ ჭყაფლ

გადმონაშთებს“. დატრიალდა სიტყვების კორიანტელი გულახილი აღმოჩნდა ერთი დამსწრეთავანი: „ეს ტრა-დიციები ხელს ვაშლიან აღვშარდოთ ახალი ადამიანი, ახალი მორალით; კომუნიზმის მშენებელიო“ (იხ. „კო-მუნისტი“ 10-7-75). მეორე დელეგატი გულგატებილი აუცადებს: „რეზოლუციებით ვერას ვავხდებით, უნდა მი-ღებული იქნას აღმინისტრატიული ზომებით. ჩვენი საზ-ადოება უნდა განიმსველოს ახალი ეპოქის, ახალი ტრა-დიციებით“. *

ალბათ იგულისხმება „ოქტომბრის“ დღესასწაული, „ლენინის დაბადება“, საქართველოს „დაპყრობის თვე თებერვალი“ და სხვ... აი ეს აწუხებს ამ პრივილეგიურ შრეს და არა ოჯახის გაჩანავება.

გსურთ გადაჭარბებულ ქელებ-ქორწილის დღესასწაულთა შენელება, ნორმალურ პირობებში ჩაყენება? მიე-ცით ხალხს თავისუფლება სიტყვის, წერის, კრების, სა-დაც მათ შეეძლებათ ერთი მეორეს გაუზიარონ თავიათი სიხარული და გაჭირვება, აზრები და ფიქრები.

უცელა განათლებულ ქვეყნებში, (რომელთაც ჩვენი ერთი სრულიად არ ჩამოუვაპიდება მათ კულტურულად), ხდება ქორწილი და ოჯახის შეკრთა შეკრება, მაგრამ არაფერი იმის მსგავსი, რაც ჩვენს ქვეყანაშია, და ამის მიზეზია, როგორც ესთქვით, პოლიტიკურ მუხრანებში ჩაჭედა ადამიანის პიროვნებისა და საზოგადოების. რა უმეტებაა და ბოროტებაც; აღმინისტრატიული ზო-მებით, ხალხის მიერ შექმნილ ჩვეულებათა გაუქმება!

უხეშმა ძალამ საქართველოს მოუსახო ეროვნული თა-ვისუფლება, ნაციონალური სოციალ-ეკონომიკური საფუძ-ვლები, შეავიწროვა ეკლესია, წაბილწა სარწმუნოება და აი ახლა ნიადაგს ამხადებენ, რომ რეპრესიული წესით შეავიწროვონ აღათ-ჩვეულებები და ტრადიციები.

მაგრამ არის ერთი ციხე ულებელი. კლდეჩამოუნგ-რეველი; ეს ქართველი ხალხის სულიერი სიმტკიცეა, მისი დღუმალი მისწრაფება თავისუფლებისაკენ. ამით გადაუჩ-ჩა იგი სხვადასხვა რჯულის მტრებს, და მისი გაუტეხელი სულიერი. სიმტკიცე დღესაც გადაუჩჩება კომუნისტურ მორალს.

ამირანი.

სასოფლო მუშაობის სიკოთის საგაოცემო

საბჭოთა სასოფლო მეურნეობაში შექმნილი კატასტროფიული მდგომარეობა, დღეს არავითარ ეჭვს ამ იწვევს. ის ფაქტიური მასალა, რომელიც ჩვენ ხელთ დაგროვდა ნათლად გვიმტკიცებს. რომ საბჭოთში, ხორბლეულობის მოსავალი არა თუ აქმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებებს. — საშიშროება ნახევრად შიმშილობისა კარზეა მომდგარი. რასაკვირველია, ამ საფრთხის თავიდან აცილება შესაძლებელია იმ „კაპიტალისტურ ქვეყნებიდან“ შემოტანილ პურით, რომლების სამცურნეო დარგებს უნდა დასწეოდა და გასწრებოდა საბჭოთა აღმავალი მცურნეობის, თითქოს ყოველი დარგი. მოხდა ისე რომ, თუ რუსეთს გაპქნდა პირველი ომის შინ 20 მილიონი ტონა ხორბალი. ახლა ამდენივე უნდა შეისაზიდოს უცხოეთში. ტენიკისა და კრედიტებისათვისაც „კაპიტალისტების“ კარგზე არინ ატუზული კრებლის კომერციული აგენტები. ჩვენ სრულებით არ ვამტკიცებთ, რომ საბჭოთა რუსეთი დაღუპვის შინაშე სდგას, არამედ, ამ ჩვენი წერილის მიზანია ნათლად დავანახვოთ შეითხველს, გაკოტრება სასოფლო მცურნეობის სისტემის.

თითეული ქვემოდ მოცემული ცნობა ოფიციალურად შემოწმებულია ექსპერტების და სპეციალისტების მიერ; გასული წლის 18 სეტემბერს, ფრანგული ჟურნალი „მნიდის“ კორესპონდენტი იტყობინებოდა: თანახმად წინასწარ შეთანხმებისა, რუსეთში დაშვებული იქნენ ამერიკელი ექსპერტები, რომელთა გამოანგარიშებით, წლის მოსავალი შეიძლება იქნეს 165 მილიონი ტონა ხორბლეული, გვემის თანახმად კი გათვალისწინებული იყო 215 ტონი.

9 ოქტომბრის დეპეშა, მიღებული „ასოშიაშენ პრეს“ ამხელს: კანადიდან შესყიდული პურის რაოდენობა უდრის 4,300,000 ტონს, ამავე ხანგბში, აქსტრალიიდან რუსეთს შეუსყიდია 1,500,000 ტონი ხორბლეულობა. „ნიუ-ორკ-ტაიმსში“ მოთავსებულია ცნობა: 12 ნოემბერს, საბჭოთა აღმინისტრაციიდან გაკრული იქნა აფიშები: „პური ჩვენი სიმდიდრეა, დაზოგეთ მისი ხმარება; იყიდეთ პური, რაც მხოლოდ აუცილებლად გესაჭიროებათ და სხვ.“.

„ტაიმს“ მაგაზინ“. 3 ნოემბრის ნომრის გამოანგარიშებით დეფიციტი უდრის 5 მილიონ ტონს პლანთან შედარებით, რომელიც ითვალისწინებდა 215 მილიონ ტონს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა წყაროები, არ იძლევა ერთ და იმავე მაჩვენებელს, რაც სრულებით არ ცელის, საბოლოო ანგარიშში, მძიმე მდგომარეობის სინამდვილეს. გასული წლის დეკემბერში, დეფიციტი უდრის 50 მილ. ტონას... იმავე დროს მოდის ცნობა, რომ დეფიციტია 60 მილ. ტონა... .

15 დეკემბერს, სრული გამოანგარიშება კიდევ არ ასებობს.

დასავლეთის სპეციალისტების ცნობით, 11 დეკემბერს მოსავლის დეფიციტია 79 ტონა... „ნოივ ციურის გაიტუნგი“ 10 ნოემბრის ნომერში არკვევს, რომ ექვს საბჭოთა მოქალაქეზე — ერთი იკვებებოდა „კაპიტალისტური პურით“. „ტაიმს მაგაზინი“ უჩვენებს რომ რუსეთმა უნდა შეიძინოს 1975 წელს 30 მილ. ტონა ამერიკაში. კანადაში, ასეტრანლიაში, ევროპაში.

იგივე „ტაიმს მაგაზინი“ აღნიშნავს (15 დეკემბერს, 1975), საშაქრო კარხლის დეფიციტი უდრის 16 მილიონ ტონს... ხრუშჩევმა ევროპაში ყოფნის დროს, ყური გამოუჭიდა ყველას, სოფელში მოსავლის სიუხვით და ითვალისწინებდა მომავალში მოსავლის თანდათანობით მომატებას. მას შემდეგ, როგორც ცნობებიდან დავინახეთ, რასაც ვერ მალავს თვით საბჭოთა მთავრობა, ხელს არ უშლის ბრევნევს განაცხადოს: „1971 წლიდან, სოფელის მატერიალური და კულტურული დოკუმენტის საგრძნობლად იმატებს და 1980 წელს, საბჭოთა საზოგადოება მიიღებს სრულს დაქმაყოფილებას, შესძლებს კომუნისტურ წარმატებებს და სხვ.“

მთავრობა მიზეზებს მუდამ ავღარიანობას აბრალებს. საკვირველია. კარიზმის 300 წლის ბატონობაში ერთი ღლეც არ ყოფილა ცუდი დარი, და საბჭოთა ბატონობის უკანასკნელ 15 წლის მანძილზე, თითქმის სულ წვიმებია, არ გვალვაა.?

არა ნამდვილ მიზეზები აქვე დავისახელოთ: თავიდანვე შექმნილ კოლხოზურ სისტემას, არავითარი შინაორგანიზაციული ცვალებადობა არ განუცდია. გლეხობა-

ში ჩაკლეს ყოველგვარი ინიციატივა, ხალისი შრომისა, არ არის არავითარი მათი დაინტერესება. ადგილობრივ პარტიულ „კომიაჩეივას“ ევალება ყოველდღიურად არწმუნოს გლეხობა ბედნიერ ცხოვრების დამყარებაში, ამიტომაც საჭიროა სახელმწიფოს მიეცეს რაც შეიძლება მეტი მოსავალი; მას ესაჭიროება მილიონობით თოვის ქვეშ მდგარი ჯარის გამოკვება, რადგან იმ წყეულ კაპიტალისტური ქვეყნებიდან, „სოციალისტური“ ქვეყნები გარშემორტყმული არიან. ბიეროკრატიული ინსტრუქტუები უამრავ ცვიდა. თვით „პრავდას“, 1 ივლისის 1975 წლის ცნობით, უკრაინის ერთ კოლხოზურ მართველობამ მიიღო 77 დეპეშით ინსტრუქცია. საკანცელარიო მიწერ-მოწერაში იყარება დიდი დრო. აგიტპროპის კრებებს, მთელი გასული წლის განმავლობაში წაულია 100 დღე. ინიციატივი და ტეხნიკურები ჩივიან, რომ მათ დრო აღარა აქცით ადგილობრივად, მინდვრად გაუძლვენ მუშაობას.

„დავეწიოთ და გაეცაშტროთ!“ ეს იყო ლოზუნგი; ნაშანში ამოღებული იყო ამერიკა, მაგრამ ამერკაში ათვერ მეტია ხორბლეულობის მოსავალი, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში, სოფლად მუშაობს 4,300,000 მშრომელი; საბჭოებში კი 27,000,000 მშრომელი.

საბჭოებში, სამეურნეო იარაღის რეპარაცია საშინელ პირობებშია; გაცემითილი ნაწილების გამოცვლა შეუძლებელი ხდება. „პრავდას“ 6 აპრილის 1975 წლის ნომერში, ვრცელ ინეინერი ამერლავნებს თუ რა უამრავი მანქანები ყრია მინდვრებში.

ახალგაზრდობა გაურბის სოფელს, რადგან კოლხოზური შრომა მათ არ აძლევს ნივთიერ დაკმაყოფილებას, ქალაქში მაინც არის. რამოდენიმედ, პირობები მან შექმნას სტაბილური მდგრმარეობა. უურნალი „კომიკონმიკი“ № 7 აღნიშნავს: 1971—1972 წლებში, გამოშეებული იქნა 600,000 მექანიკოსი, — სოფლის მუშაობაში ჩაება მხოლოდ 300,000. ცხადია დანარჩენი გაიქცნენ ქალაქებში.

დიდი ნაწილი ხორბლეულობისა ლპება მინდონზე, მოქუჩებული ზეინები ილუპება ტრანსპორტის უქონლობის

გამო. (იხ. „პრავდა“ 31 ივლისი 1975 წ.). მთელი წლის მანძილზე დაღუპულა 3 მილ. ტონა. — „ლიტერატურნაია გაზეტა“ აღნიშნავს: მრავალი ტონი ხილეულობა იღუპება ტრანსპორტის უქონლობის გამო. — აკადემიკოსის სახაროვი, ერთს თავის წიგნაზე უაღრესად დამახასიათებელ ფაქტს აღნიშნავს: „ერთი წლის წინ, ციხეში გარდაიცვალა ხუდენკო, რომელსაც ნება დართო ხრუშჩევმა, სოციალურ - ეკონომიური ექსპერიმენტის. ხუდენკო განცემდა ერთს დიდს „სოვენზეს“, მას ჰქონდა სრული თავისუფლება. თვით გაძლილობა და გადაეწყვიტა ამ „სოვენზეს“. ფინანსიური და ეკონომიური საკითხები. მის მიერ შექმნილ მუშაობის სისტემის საშუალებით, მან შესძლო შეემცირებია მუშათა რიცხვი ხუთასრ, ამავე დროს, საგრძნობლად მოემატებია საპროდუქციო ნაყოფი: საქონლის თვითლირებულება შეემცირებია, ამავე დროს მუშებისათვის ხელფასი მოემატებია.

რასაკირველია. ასეთი ცვლილება ემსახურება მუშებისა და ქვეყნის ინტერესებს, მაგრამ ეწინააღმდეგება გაბატონებულ პარტიულ ბიუროებრატიის ეგოისტურ კონსერვატიზმს. რომელმაც გადასწყვიტა ხუდენკოს თავიდან მოშორება: დაკეტილ იქნა თუ არა მთავრობისაგან ეს „სოვენზე“. ხუდენკომ სასამართლოს საშვალებით მოითხოვა თავისი მუშებისათვის კუთვნილი ხელფასის მიცემა. ხუდენკოს წაუყენეს ბრალდებად სახელმწოდოს მიმართ ლალატი.

მას მიუსაჯეს რეა წლის ციხე, სადაც ის გარდიცვალა. ეს შემთხვევა ნათლად მოწმობს მთავრობის და საზოგადოებრივი ინტერესების დაპირისპირებას: მის ბიუროკრატიის ზრუნვას შეინახოს მოპოდებული პრივილეგიები. მთავრობას არ შეუძლია შეასუსტოს ბატონობა გლეხობაზე, მისცეს მას თავისუფალი ინიციატივის უფლება. თუმცა ამ გზით გამოიყვანდა ქვეყანას კრიზისიდან, ჩატომ? გასაგებია. ის დაპყარგავდა კონტროლს სოფლის მეურნეობაზე, დაპყარგავდა თანდათანობით ბატონობის უფლებას და მოუსპობდა ფუფუნების საშვალებას პრივილეგიურ კლასს. რომელსაც ის ეყრდნობა.

პლატონ ლეჭავა..

ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი

საქართველო

საქართველოს პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში, ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარ მოვლენათა შორის, ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად, უსათუოდ, უნდა ჩაითვალოს ქართული თვითგამოცემის აღმოცენება, რომელშიც ნათლად აისახა. როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთბათა მეტად მტკიცებული ასპექტები, ისე ხელისუფლებათა მხრივ საქართველოს საპატრიარქოს შინაგანი ვახტანისაკენ მიმართული მზაკვრული პოლიტიკა,

აისახა აგრეთვე საპატრიარქოს ისტორიული განძეულობის დატაცების, ქართული კულტურის უნიკალური ძეგლების მოუცლელობის და განადგურების, უძველესი ხელნაწერების უპატრიონოთ დალუპვისა და სხვა ამდაგვარი ეროვნული შევიწროების მანიშნებელი ფაქტები. უკანასკნელ ხანს, ქართული თვითგამოცემის გზით ფართოდ იწყო მოსვლა აგრეთვე მასალებმა, რომლებშიც საქართველოს საპატიმროებსა და საგამომძიებლო იზოლიატორებში ძიების წარმოების ამაზრზენი ფაქტებია აღწერილი.

თვითგამოცემის აღმოცენებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას. რომენითული საბჭოთა ინფორმაციის საშუალებება მოქცეულნი არიან მკაცრი პარტიული კონტროლის ქვეშ, რომ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებული სიტყვისა და პრესის თავისუფლება, და სხვა ელემენტარული მოქალაქეობრივი უფლებები, მხოლოდ ფიქცია. რომელიც რეალურ, პრაქტიკულ განვითარებულ ბაზაზე მოქლებულია. ამიტომაც გაძელებულ და დიდ მამული შეილურ ნაბიჯად გაისმა ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენტთა ერთი ჯგუფის განცხადა, ადამიანთა უფლებათა დაცემის თბილისის საინკიატორო კომიტეტის დაარსების შესახებ.

კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ მსოფლიო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, დიდი ქართველი მწერლის—კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი—ზვიად გამ-

სახურდია. მერაბ კოსტავა, ციკოლია და სხვები. მისე-
 დავად იმისა, რომ მოწინავე რუსმა ინტელიგენციამ დი-
 დი ხანია რაც თვითგამოცემის წესით იწყო პუბლიკაციე-
 ბის წერა. საბჭოთა რეჟიმის ნამდვილ არსებე, და ასევე
 დიდი ხანია, რაც რუსეთში ნობელის პრემიის ლაურეატ-
 მა, აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა, ანდრეი ტვერდოხ-
 ლებოვმა, ვალერი ჩალიძემ და სხვებმა დაარსეს ადამი-
 ანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, მანც ქართული
 თვითგამოცემის აღმოცენება, და ადამიანის უფლებათა
 დაცვის თბილისის კომიტეტის დაარსება. დიდის ინტერე-
 სით აიტაცა მსოფლიო საზოგადოებრივბამ და დასავლე-
 თის პრესაში არა ერთი წერილი და სტატია დაიწერა ამა-
 ზე; აი, თუნდაც ამ ასამინდენიმე დღის წინად, 2 ნოემბერს,
 ინგლისის გავლენიან გაზეთ „სანდეი ტაიმსში“ გამოქვეყ-
 ნდა ლონდონის ეკონომიკური მეცნიერებათა ინსტიტუ-
 ტის ლექტორის — პიტერ რედეუეს და უილამ შოკ-
 რისის ცრცელი წარილი. რომელშიც მოთხრობილია ქარ-
 თულ თვითგამოცემის ღოუქმენტებში აღწერილი ზოგი-
 ერთი მასალები და თან მითითებულია. რომ ზეიად გამ-
 სახურდია, როგორც დამიანის უფლებების დაცვის კო-
 მიტეტის წევრი, დათხოვნილია თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტიდან, სადაც იგი ლექციებს კითხულობდა
 ამერიკულ ლიტერატურაზე და ასწავლიდა ინგლისურ
 ენას. იმავე წერილში ნათქვამია აგრეთვე რომ ზეიად
 გამსახურდია და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტე-
 ტის თბილისის საინციატივო ჯგუფის სხვა წევრები,
 რამდენჯერმე დაკითხეს საქართველოს სახელმწიფო
 უშიშროების კომიტეტში, რამდენჯერმე იქნა განხორ-
 ციელებული მცდელობა ზეიად გამსახურდისა და მისი
 მეულლის მოწამვლის მიზნით, რაც სახელმწიფო უშიშ-
 როების მუშაკთა ნახელავად მიაჩინათ, — მით უმეტეს,
 რომ როდესაც ამის შემდეგ გამსახურდიამ საჩივრის წე-
 რილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშ-
 როების კომიტეტის თავმჯდომარეს ანდროპოვს, ხოლო
 ასლი ინაურს, ერთ-ერთმა ქართველმა „კაგებისტმა“
 მას ტელეფონით დაურეკა და მოკვლით დაემუქრა.

ირაკლი გავაშელი.

„ფილმის გერმანულება“

კარლო ინასარიძის „ფილმის გერმანულება“ არის მეორე წიგნი მისი ოთხი წიგნიდან, რომელთაგან, „რადიო-გერმანულება“ გამოაქვეყნა 1971 წელს, — და „თეატრის-გერმანულება“ და „ტელემეტრიულების“ გამოცემას, როგორც ავტორი ამბობს კიდევ წლები დაჭირდება.

უპირველეს ყოვლისა, მინდა ალვინიშნო ის გარემოება, რომ საქართველოში, ქართულ ენაზე არ ასებობს მსგავსი ნაშრომიც კი. ყოველივე გამოცემული საბჭოთა კავშირში არის, ან რუსულ ენაზე გამოცემული, ან თარგმნილი ზოკომუნიზანო უცხოელი ავტორების. ამ საკითხის გამო, მე პირადად, 1964 წელს, შევეღავე მაშინდელ საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარეს, ანუ მინისტრს, რომანოვს, რომანოვმა, კინემატოგრაფიის ყრილობაზე აშკარა მუქარის ტონით განაცხადა, რომ ჩეენო არა ვართ იძულებული თქვენ ქართველებს. თქვენს ენაზე მოგართვათ ესა თუ ის ნაშრომი კინემატოგრაფიის შესახებ, ვინაიდან თქვენ გაგაჩნიათ საკუთარი კინო-კრიტიკოსები და მათ იზრუნონ ამაზე. რომანოვს დაავიწყდა ის ფაქტი. რომ საქართველოში არც ერთი ნაწარმოები, ეს იქნება მცირე ფორმატის ბროშურა, თუ სხვა, მოსკოვის გარეშე, არ გამოიცემა. ეს წინასიტყვაობა საჭიროდ ვცანი. რათა უფრო მეტი ყურადღებით მოვექცეთ კარლო ინასარიძის ნაშრომს „ფილმის გერმანულებას“.

გაოცებას იწვევს ავტორის ტიტანური შრომა, ფილმის მეტყველების შესახებ. თვით ფორმით, ნაშრომი განცეულება მეცნიერულ შრომას, სადაც ავტორი არ ვვახვევს თვის საკუთარ პოზიციას.

ფილმის მეტყველება იმდენად რთული საკითხია, რომ მასზედ ალბათ ათეული და ასეული ნაშრომები ვერ ამოწურავს მის არს. უპირველეს ყოვლისა, როგორც თავის დროზე წერდა ჩარლი ჩაპლინი: კინოხელოვნება, ეს არის სახეითი ხელოვნება, და მასში ხმას აქვს დამხმარე როლი, ვიდრე მთავარიო. ინასარიძის ნაშრომში სწორად არის აღნიშნული, რომ ფილმის მეტყველებას გააჩნია არსებითი კომპონენტები. ინასარიძის ნაშრომში მაღალ პროცესიონალურ დონეზე აღწერილია, ესა თუ ის ეპიზოდი

მსოფლიოს კინოხელოვნებიდან. მაგალითად, ყაჩალის და ქალის შეხვედრა ფილმში „რასემონ“. ავტორი ცდილობს გამოსახულების საშუალებით გააცნოს მკითხველს რე-ესორის კუროსავას შემოქმედებითი ქარგი. თავისუფ-ლად შეიძლება ითქვას. რომ საბჭოთა გამოცემებში, ვერ-სად ვერ ნახავთ მსგავს ანალიზს. ინასარიძეს პროფესო-ნალურ დონეზე გარჩეული აქვს ეს ეპიზოდი. მკითხველს და მითუმეტეს არა პროფესიონალს, ეძღვება საშუალება ერ თხელ უკვე ნანახი ფილმი და კერძოდ, აქ დასახელებული ეპიზოდი, დაინახოს სრულიად ახლებურად. ინასარიძეს საინტერესოდ აქვს თავის ნაშრომებში გამოკვლევა, არის თუ არა ფილმის გადაღების პროცესი, ე. ი. სამუშაო პროცესი. შემოქმედებითი. ავტორი ამ საკითხის გარჩე-ვას კვლავ მკითხველს სთავაზობს. მაგრამ ისევ ფსიქო-ლოგიური ანალიზის საშუალებით. ძნელია ერთ წერილ-ში ასეთი დიდი ფორმატის ნაშრომის გარჩევა, მაგრამ მე მაინც გავამახვილებდი ყურადღებას, იმ გარემოებაზე, რომ კარლო ინასარიძის ნაშრომში აღებულია დიდი სტარტი. ავტორი ცდილობს იყვეს ობიექტიური და ამავე ფრინს, მკითხველს აძლევს საშუალებას თვით მკითხველ-მა შეეცადოს გახდეს თანაავტორი. ეს ხერხი, შეიძლება ითქვას, ახლებურია. მაგალითად, გამოჩენილი კინო-კრი-ტიკისი, ანდრე ბაზენი, უკვე გამზადებულ ექსპლუს თავა-ზობს მკითხველს. ეს პოზიცია, შეიძლება ითქვას, ზედა-პირულია და მავნე. კარლო ინასარიძე კი პირიქით, ცდი-ლობს რომ. მკითხველმა თვითონ გაარყვიოს ავტორთან ერთად და მისი დახმარებით ახსნას ეკრანის საიდუმლოე-ბა. ავტორს ხშირად მოჰყავს თავის ნაშრომში ეიზენშ-ტეინის ფილმებიდან ეპიზოდები. მაგალითად „ოდესის კიბე“ ან „ლომების ქანდაკების გაცოცხლება“, „ლრუბ-ლების ეპიზოდი“, „ჯავშნოსან პოტემკინიდან“. უდავოა, რომ კინო ხერხები ეიზენშტეინის მუნჯურ ფილმებში. მიუხედავად მათი ექსპერიმენტულობისა, მაღალ მხატვ-რულია. მაგრამ, ინასარიძეს სურს. უფრო გაშალოს თარ-გლები. კერძოდ, კინოხერხები ავტორს დანაწილებული აქვს მსგავსად საათის დეტალებისა. ავტორი განზრაბ შლის საათს, და შემდეგ იწყებს საათის აწყობას მკით-ხელთან ერთად.

როდესაც კითხულობ კარლო ინასარიძის ნაშრომს „ფილმის მეტყველებას“ გებადება სურვილი წიგნი ამოიღო ილლიაში. წახვიდე კინო-დარბაზში და ფილმის დემონსტრაციისას გადააცლო თვალი ნაშრომს. მე ვიტყოდი, ამხრივ ეს ნაშრომი ბევრად განსხვავდება სხვა მრავალ ნაშრომებისაგან. მაგალითად, უორჯ სადულის „მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია“. უორჯ სადულს დაწერილი აქვს უფრო ქრონოლოგიური ხასიათით. აქვე უნდა დავინინ, რომ კარლო ინასარიძის ნაშრომში აღებულია თემები მეტად ჭარბად. ამ შემთხვევაში თემის სიქარბე გამოწვეულია, ავტორისათვის აუცილებლობის გამოისპიოთ. მაგალითად, ავტორს არ შეუძლია დაასახელოს შენგელის „ელისო“ და ის დაუკავშიროს სხვა ფილმებს, ვინაიდან მისი ნაშრომი. არ ეხება მხოლოდ ფილმებს. ნაშრომის ლირებულება სწორედ იმაშია, რომ ავტორი თავის თავს არ ბოჭავს გარკვეული შტამპით. და დავუშვად, თუ კი ნაშრომში არის ლაფსუსები, ეს მისასალმებელია, ვინაიდან იგი კვლავ დავის საგანია, და კვლევა ძიების საჭიროებას მოითხოვს. აქვე უნდა მოვიხსენიო გამოჩენილი ამერიკული კინორეჟისორის ფრენკ კაპრას სიტყვები, რომელიც მან წარმოსთქვა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ. ფრენკ კაპრას შეეკითხებ: არის თუ არა საბჭოთა კავშირში ხელოვნება და კერძოდ კინოხელოვნება თავისუფალი? კაპრამ უპასუხა: საბჭოთა კავშირში, კინოხელოვნება მოგავს ვეტხეს — მოთავსებულს ზოოლოგიურ ბალის გალიაშიო.

დავუშვათ ერთი წუთით, რომ ფრენკ კაპრას მიერ დასახელებული ვეფხვი გაუშვან გალიოდან. მაშინ, ალბათ, მოხდება სასწაული და ჩვენ ქართველებს, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ხალხს, შევიძლია მხოლოდ ვინატროთ, რომ ჩვენს ყვავილოვან საქართველოში გვეზეიმოს. ჩვენი ერისა და სამშობლოს თავისუფლება. და მანამ ეს საბედნერო დღე დაგვიდგება, კარლო ინასარიძისა და სხვა ქართველთა ნაოფლარი, რომელიც ჩვენს ქართველ მსახიობებსა და რეჟისორებს, მშობლიურ ქაოსულ ენაზე მიაწვდის ისეთ საჩქარს, როგორიც ეს ნაშრომი არის, ინასარიძეთა შრომა დიდად მისასალმებელია.

საქართველოს დამსახურებული არტისტი,
 რეჟისორი და სცენარისტი **ნ. შარია.**

მთბობის ხსოვნას

გასულ წელს, სევერიან ჭირაქაძე პარიზში გაემგზავრა. ვინ იფიქტებდა. რომ უკან აღარ დაგვიბრუნდებოდა. მართალია იგი, ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ ჩენ ისე შევეჩევით ამას რომ, ჩენთვის სრული მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მისი უცაბედად გარდაცვალება, 24 სექტემბერს 1975 წელს, პარიზის ერთ საავადმყოფოში.

უცხოეთში გადმოხვეწის პირველ დღიდანვე, სევერიან ეც ცხოვრობდა ქ. ვალანტინეში. იქ დაქორწილდა, შექმნა კარგი ოჯახი, შეეძინა ვაჟი. რომელიც ახლა მსახურობს ქ. მონპელიეს ისტორიულ მუზეუმში და დირექტორის მოადგილეა.

თავის უმწყივლო მორალით, კეთილშობილების გრძნობით აღსილი, განსვენებული სევერიანეს პიროვნება, მეგობრებში ბუნებრივად იწვევდა მისდამი პატივისცემას. მიმზიდველობას.

უკანასკნელ დიდი ომის წინა წლებში, იგი იყო ქ. სომის ქართველ სათვისტომოს გამგეობის წევრი და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობაში. უკანასკნელ წლებში იგი არჩეულ იქნა იმავე სათვისტომოს თავმჯდომარედ.

მართალია ავადმყოფობდა; მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ მუდამ საერთო საქმეზე ფიქრობდა. საზოგადოების საქმიანობას ხელმძღვანელობდა. მასთან სანახვად მისულ მეგობრებს ამნიჭებდა.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოლექტეს ახასიათებდა სრული ლიკიალბა და სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთიან მუშაობაში იყო გულწრფელი.

ნიჭიერ კალმით იყო დაჯილდოვებული სევერიანე, რითაც ის ებრძოდა ჩვნი ქვეყნის მტრებს. — დამოუკიდებელი ხანის ისტორიის ფალისიფიკატორებს.

სიტყვით, საქმით, წერით ის გულმოდგინედ. ერთგულად ემსახურა თავის სამშობლოს.

მას სურდა უსათუოდ დამართულიყო ლევილის ძმა - თა სასაფლაოზე, რაც ბედმა ეს აუსრულა და განისვენებს სხვა მრავალ პატრიოტ მამულიშვილთა შორის.

გულწრფელ თანაგრძნობას ცუცხადებთ მის დამწუხრებულ ოჯახს და მეგობრებს.

ილ. ბაზელი.

† ვანო ნაცაშვილი

გასულ წლის 14 აგვისტოს, სან ფრანცისკოში გარდა-
 იცვალა ჩეენი უურნალის თანამშრომელი, ცნობილი მხე-
 დარი, პოლიტიკური და ეროვნული მოღვაწე ვანო ნაცა-
 შვილი.

უფაილი იუნკერი თბილისის სამხედრო სკოლისა, იგი
 იყო მონაწილე იუნკერთა მიერ გადატანილ ბრძოლების,
 კოჯორიდან ბათუმამდე. ხოლო სამშობლოს დაპყრობის
 შემდეგ უცხოეთში, ქართული საზოგადოებისათვის ცნო-
 ბილი მისი შეუჩერებელი ენერგიული შრომა ქართულ
 განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. პოლონეთში ყოფ-
 ის დროს, მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა უურნალ
 „შედარი“. მისმა წერილებში მიიქცის კველის ყურად
 ღება. აქ გამოჩნდა მისი ლრმა ცოდნა პოლიტიკურსტრა-
 ტეგიულ საკითხებისა.

ვანო აანამშრომადდა კველა ქართულ პატრიოტულ
 გამოცემებში. სადაც აშუქებდა, საერთოდ საბჭოთა პო-
 ლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემებს, კარძოდ საბჭოთა
 კავშირში ჩატენილ ერთა, და ცხადია, საქართველოს გან-
 თავისუფლების გზებს. ამ საკითხებზე იგი ათავსებდა
 უცხო გამოცემებში წერილებს და უკანასკნელ ხანებში
 შან გამოსცა ინგლისურ ენაზე წიგნი: „რა უნდა იკოდეს
 თითოულმა უცხოელმა საბჭოთა რუსეთის შესახებ“, რაც
 თავის დროზე ჩვენგან იქნა განხილული.

ვ. ნაცაშვილი იყო დაუშრეტელი ენერგიის მქონე,
 თავდადებული მებრძოლი პატრიოტი. ორი ათეული
 წლის განმავლობაში ის იყო მიწერ-მოწერაში ჩვენს რე-
 დაქციასთან; მუდმივად გვამხნევებდა, გვეხმარებოდა,
 უურნალის გამოცემის დაგვიანებაზე გვისაყველურებდა
 და კვლავ და კვლავ მოგვიწოდებდა მუშაობისაკენ.

უდიდესი დანაკლისია ქართული საქმისათვის მისი და-
 კარგეა. „ჩვენი დროშის“ რედაქცია ლრმა მწუხარებას
 გამოსთქვამს დაუღალავ მუშაკის გარდაცვალების გამო.

ვ. ნაცაშვილის თავდადებული ბრძოლა, შრომა. სამა-
 გალითოდ დარჩება და მისი ხსოვნა დაუვიწყარო.

შ უ ჩ ა ნაკაბიძის ცხედრის გადმოსვენებაში მიიღეს მონაწილეობა:

ირინე ანთაძისა, — დიკა კედიამ, და კაკო ალშიბაამ თიორინე ანთაძისა, — დიკა კედია, — კაკო ალშიბაა, თითომ 300 ფრანკი. — ირა ლალიძისა, — კაკო შავვულიძე, თითომ 250 ფრანკი. — ვალ. ჭელიძე, ნიკ. ანთაძე, ტარიელ ულენტი, — ჯაბა ხაბულიანი, — ქათ. ჯაყელი. — მადამ ნოლკენ, — თითომ 200 ფრანკი.

ჯიმი წულაძე. — გურ. წულაძე, — ქ-ნი რე ზურაბიშვილისა, — თითომ 150 ფრანკი. — ნამ. გოგუაძისა,, — დ. დოლიძე, — გორგი ყიფიანი, — ბაგრატ წულაძე, — ნიკ. სალარიძე, — ვ. ასათიანი, შ. ბერეევიანი, — ვ. ხომერიკი. — აპ. ანთაძე, — ბ. ახველედიანი, — თ. თაქთაქიშვილი, — ჯამ. გვაზავა, — დ. უორდანის ქერივმა, — თამარ პატარიძისა, — ვ. კედიასი, — ნელი გოგიტიძისა, ნოე ცინცაძე, — მიხ. ქავთარაძე, — ბენო რამიშვილი, — გორგი წერეთელი, — უ. გრიგოლაშვილი, — ქრისტ. იმნაიშვილი, — სერგო ინასარიძე, — სტან. მამულაშვილი, — ლია და მიხეილ გოგიტიძები, — ზურაბ კედია, რაფილ ჯაფარიძე, — ? ? ? (დამაკიწყდა გვარი), — მირ. მელუა. — სალომე და ოთარი, — რამინ ნასყიდაშვილი, თამაზ ნასყიდაშვილი, — ნ. და გ. ბერეკაშვილები, — მია დადიანი. — გორგი დადიანი, — მათ. სტურუასი, მედეა ურატაძე, — თითომ 100 ფრანკი. — ქ-ნი ნელი და ნინო მდივნები, — 110 ფრანკი.

ინაშვილი, — ზ. ალიბარაშვილი. — გრ. წერეთელი, — ნ. ურუშაძე. — დ. დათიაშვილი. — პ. სარჯველაძე, — კ. გელაშვილი, — ალ. კარგარეთელი. — ვ. წილისანი, ლუბა აბდუშელისა, — თაყაიშვილები, ვახ. ბერიაშვილი, მ. მიმინოშვილი, — ვალია ჯიბლაძე. — მარ. ლოლობერიძე, — ლიდა ნასყიდაშვილისა, — ასმათ ფალავასი. — ბაბო წულუკიძე, — ზეინაბ ზურაბიშვილისა, — თამარ და ვასო საბახტარიშვილები, — თითომ 50 ფრანკი. კვიროსი ჩხაიძე — 40 ფრ. — გ. ნოზაძე — 30 ფრ. — ბ. ბადურაშვილი — 30 ფრ — ერ. მაჭავარიანი — 30 ფ. ეკლესია და სათეისტომოდან 1600 ფ. სულ 9,670 ფ.

ულრჩესი მადლობა უველა გულშემატკიცართ.

პატივისცემით ნ. გოგუაძისა.

დიდი კატეგორიული საქმე

უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მშობელთა სამწუხა-
რო — მუდამ საფიქრალი იყო და არის მათი შვილების
მოსალოდნელი გადაგვარება.

ქართველ დედათა მზრუნველობით, ბევრმა შესძლო,
თავიანთ ბაეშვებისათვის საქმაოდ შეეთვისებია ქართუ-
ლი ენა. მაგრამ უმთავრესი იყო ქართული სკოლის არსე-
ბობა მცირეწლოვანთათვის.

მიმღინარე სამოსწავლო წელში, ოქტომბრიდან პარი-
ზის წმიდა ნინოს ეკლესიასთან დაარსდა ქართული სკო-
ლა, სადაც მაცადინობა წარმოებს ოთხშაბათობით. 14
საათიდან. მასწავლებლობენ ქალბატონები: თამარ თა-
ყაიშვილისა, ვალია კედიასი და დალი კობახიძე.

სკოლის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის, სათეისტო-
ობის გამგეობას, რომლის თავმჯდომარე ვიქ. ხომერიკი
ენერგიულად ზრუნავს და ყოველმხრივ ხელს უწყობს
ქართულ სკოლის არსებობას.

ამ ენერგიულ ქართველ ადამიანთა შრომის ნაყოფი გა-
მოჩნდა 11 იანვარს. წმიდა ნინოს დღესასწაულზე, სა-
დაც ბევრშვებმა ასიამოვნეს საზოგადოება ქართული სიმ-
ღერებით და ცეკვებით. დადგეს კიდევაც, ერთი პატარა
სცენა ქართულ ენაზე.

ს თ მ თ

ქ. სოშის ქართულ სათეისტომოს თავმჯდომარის, ბ-ნ
სევერიან ჭირაქაძის უდროოდ გარდაცვალებამ გამოიწ-
ვია. სოშის ქართულ სათეისტომოს საერთო კრება, რაც
შედგა ა/წ. 9 ნოემბერს, კვირას, სათეისტომოს ბინაზე ამ
შეკრებას დასწრო 13 ქართვლი სათეისტომოს წევრი.

დღის წესრიგში იდგა სარევიზიო კომისიის მოხსენება,
გამგეობის გადახალისება და ახალი თავმჯდომარის არჩევა.

კრებამ მოიწონა და დაამტკიცა სათეისტომოს ხაზი-
ნადარის ჩატარებული მუშაობა. რომელსაც ხელმძღვანე-
ლობდა ბ-ნი გრ. ქვარცხავა.

ახალი გამგეობა არჩეულ იქნა სამი კაცის შემადგენ-
ლობით: ბბ. დ. ქიმერიძე, ვ. სალუქვაძე და გრ. ქვარცხავა.

მცირე მსჯელობის შემდეგ, კრებამ სათვისტომოს თავმ-
 ჯდომარეთ აირჩია ბ-ნი გ. ქვარცხავა; მუჟაითი მუშაკი,
 დაუზარებელი და გამოყიდვის პიროვნება საზოგადოების
 საქმიანობაში.

დ. ქიმერიძე.

3362 ლაბაძის მოხსენება

ჩვენმა მეგობარმა ვ. ლაბაძემ, გააკეთა მოხსენება ქარ-
 თულ საზოგადოების წინაშე შემდეგ თემაზე: „საფრან-
 გეთის სოციალისტური პარტიის პოლიტიკის სტრატეგია“

მოხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრეთ, ამ პარ-
 ტიის პოლიტიკური ხაზი, მიმღინარე მომენტში, და რაც
 ფრიად მნიშვნელობისაა, მომხსენებლისაგან ქართული
 საქმის გაცნობა ჩვენს მასპინძლებში. მოხსენებამ გამოიწ-
 ვია საინტერესო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა
 მიიღეს: ნ. ცინცაძემ, ალ. აბაშიძემ, მ. მელუამ, ვაჲ. წე-
 რეთელმა, ლ. ფალავამ, ს. კეკელიძემ, პ. ვაშაძემ გ. წე-
 რეთელმა, ვ. ხომერიკამ, ტ. წულაძემ და კრების თავმ-
 ჯდომარემ პ. სარჯველიძემ.

გიორგი წერეთლის მოხსენება.

გასული წლის 21 დაკვებერს, ბ-ნ გიორგი წერეთელმა
 გააკეთა მოხსენბა, სადაც გააცნო საზოგადოებას ქართუ-
 ლი თვითგმოცემები. — გაუკეთა მათ სათანადო კომენ-
 ტარიები.

მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი ინტერესი, და მისი გავ-
 რდელება მოხდება იმავე დროზე და იმავე მისამართზე
 კვირას 29 თბერვალს.

მიხ. წერეთლის „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანი გერმა-
 ნულ ენაზე.

ქმაყოფილებთ აღვნიშნავთ პროფ. მიხეილ წერეთლის
 მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილ „ვეფხისტყაოსანის“
 გამოცემას.

სასაჩვებლო საქმე.

ჩვენმა რედაციამ მიიღო უურნალი ინგლისურ ენაზე,
 „ბროქს აბროდ“. უურნალი გამოდის ოქლაპომის უნივერ-
 სიტეტში, (ამერიკაში). უურნალში მოთავსებულია ჩვენი

თანამედამულის ბ-ნ ილ. კუჭუხიძის ვრცელი სტატია ამ
 სათაურით: „საბჭოთა პერიოდის ქართული პოეზია“, სა-
 დაც იგი აცნობს უცხოეთის საზოგადოებას, ქართველი
 ერის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებას, წარსული-
 დან საქართველოს დაპყრობამდე.

დან დღემდე.

როგორც ვიცით, ბატონი ილია გააგრძელებს ხსენე-
 ბულ უურნალში თავის სისტემატიურ თანამშრომლობას.

ვუსურვებთ ნიჭიერ ლიტერატორს და მწერალს ნაყო-
 ფიერ მუშაობას.

სამგლოვიარო

ა/წ 1 ოებერვალს გარდაიცვალა არჩილ დადიანი.

ა/წ 30 იანვარს გარდაიცვალა ალ. მელქაძე.

დასაფლავებული არიან ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

შურიალის ცოცხლი

უკანასკნელ ნომრის გამოსაცემად შემოსწირეს:

ქ. სოშოს საზოგადოებიდან — 100 ფრ. გრიგოლ კვარც-
 ხავამ — 100 ფრ. აქ. ორაგველიძემ 100 ფრ. გრ. ბარამი-
 ძემ 100 ფრ. — ლიონიდან. კოსტა გუნიასაგან 50 ფრ.
 დ. ქიმერიძემ, † სევერინ ჭირაჭაძემ, დ. დუიშვილმა,
 ვალ. სალუქვაძემ, თითოეულმა 10 ფრ.

გრ. ბარამიძემ, მეორეხელ 100 ფ. კოსტა გუნიამ მეორ. 50,
 მ. მ. — 30 ფრ.

ამ 85 ნომრის გამოსაცემად შემოსწირეს:

მოსე იმნაიშვილმა 300 ფრ. კარლო ინასარიძემ 200 ფრ.
 შალვა ჯაველიძემ 200 ფრ. სოშოს საზოგადოებიდან
 — 200 ფრ.

ვალიკ ჭელიძე, ტარიელ ელენტი, ქ-ნი მ. სტურუა, ახ-
 ლობელი, სერგო დონდუა, ამხანვი. — აკ. შავგულიძე
 ვიქ. ხომერიკი, გრ. კვარცხავა, პრ. ინწკირველი, ერმა-
 ლოზ ყავრელიშვილმა გრ. ბარამიძემ, ნ. ბედელაძემ —
 თითომ ასი ფრანგი.

მ. ხუნდაძე, გ. ყიფიანი, ნ. ყურულაშვილი, ვ. ლაპაძე,
 ერ. მაჭავარიანი, ქ-ნი ან. ელიგულაშვილი, ლ. ფალავა,
 ჯ. ხაბულიანი, გერ. ბოლქვაძე, ქრ. იმნაიშვილი, მ. ბერიშ-
 ვალი, ილ. სალუქვაძე, პ. სარჯველაძე, ზ. ალიმბარაშვილი,
 პ. ვაშაძე, თითეულმა 50 ფრანკი. — ვიქ. კირტავამ 30 ფრ.